

**საქართველოს კანონი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) 205-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 205. გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით ქონების გასხვისება და უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას

1. გადახდისუუნარობისას ქონების იმ ნაწილის განკარგვა ან დამალვა კრედიტორისათვის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რომელიც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში მოექცეოდა სამეურვეო ქონებაში, აგრეთვე მეურნეობის სწორად გაძღოლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მისი დაზიანება, გაუვარგისება ან განადგურება, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე.

2. ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი